# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

## დადგენილება № 01-06-02/85

ქ. თბილისი

25 ოქტომბერი 2019

**სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანისა და მის სტრუქტურაში „საერთაშორისო სტუდენტთა რეკრუტირების ცენტრის“ შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №01-05-04/289 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდისა და საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით, სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის სტრუქტურაში შეიქმნას „საერთაშორისო სტუდენტთა რეკრუტირების ცენტრი“;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტის გათვალისწინებთ შევიდეს ცვლილებები სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის დებულებაში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**